

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3 4 6

ქ. ბათუმი, 18 მაისი 2015 წ

#### შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ „დ.გ.“ „დ.დ.“ ქვეპუნქტების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კაპიტალში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №25 განკარგულების შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს კაპიტალიდან ამოღებული იქნას 4975,17 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების „მერსედეს ბენც“-ს მარკის, „ვიტო“-ს მოდელის ავტომობილი (საიდენტ. ნომერი: VSA63813413097382; სარეგ. ნომ. TWT-330)
2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე) უზრუნველყოს საბუღალტრო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია.
3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დაბრუნების მიზნით, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების უფროსს რეზო ხახვას (პირადი ნომერი №61001023165) მიენიჭოს მიღება-ჩაბარების აქტზე და სატრანსპორტო საშუალების მარეგისტრირებელ ორგანოში (სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო) რეგისტრაციის დოკუმენტაციაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება.
4. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (ზურაბ ბერიძე).
5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.
6. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს“.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

**8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.**

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი